

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „კავკასია“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 11

2020



მთ. რედაქტორი

ლუარა სორდია

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-818-2 (11 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არმიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კონფერენციის,




ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, ზუბრილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შსალმუნებების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯი შსალმუნებების“ ოცდაათომოვეულის ბამოცემა. (გამომცემ-ლობა „შინვერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომე-ბი. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შსალმუნებების 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბუთდად ვაჟა უბრისელის კლასისური კოექტის ხუთომოვე-ული, აბრეოვი, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხო-ელი კოექტის, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ათომოვეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ივ-არეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შსალმუნებების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, პროფესიონი ვაჟა ებრისელი.

ჰევას მეუღლე – ბილდა სახიშვილი (მომრადი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი შვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. 080 – მეცნეო შვილია (შვილი ძმა და ორი და).

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი



პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაქა ებრისებდის შესახებ დიდი ხნის შემთხვევაში: „რუსთველს აკაპის და გალაკტიონის, ღვერდითი არ გიყვანს რომ უგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაუ სირსაც, რომ აზანზარებს ჩამად სამყაროს...“

ამძაგად, როცა კოეფის ზედარული „კოსმიური ვსალმუნების“ ჯერ არ ნახული, ჯერ არ გატონილი, ხუთი ათასზე, ათი ათასზე, მოუზიშტი ათასზე მეტგვერდიანი „გავადღო“, ოძროს ყდაში ჩამული, ოცდაათტომეული წაგიკითხე, ჩემი კველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ჩვენის გასამორნად ხმამაღლა ვაცხალებ: ვაშა ებრისებდი არც რუსტაველს, არც აპაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც მველსა და არც თანამედროვე კოეფს არა პბაცს...

ის არესტროული კოლექტის „ქუთაისა“, არების ჰალაპი მდგარი მუხაა, რომელიც თრიოს საჭირის ეპიდა (რომელიც გერძენება მი არა, კელაბეგი იახორება მელეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლექტის მთიული ხელმიწის, აიეტის ხელი დაგრძელი, ის ურჩეულ მორიაჯე მუხაა, რომლის ცადაზდენილ ტოტაზე, კოეტმა თრიოს საწმისის „ბონის მაგიერ თავისი კოლექტი უსალმუნების იგავვიავდებული ასტომეული დაკიდა და გააცოცება, მიძინებული დავყაბების ნაცარშიყრილი, არა მარტო კოლექტის, არამედ იმ დროიდელი სამშაროს რცდაშემოსისგან მეტ საუცანოვანი – მთიული, ლეგანებითა და სარგებელით დახსნოდული ისტორია, რაც კომერციულ მოყლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუცანე) არც ერთი მვენის, არც ერთი კალმოსანს არ გაუკეთება.

100-ტომეული... ჩვენის განხინის დღიდან, XXI საუცანის რიცაპურად, ასეთი (5-6 სტრიმენიანი) ვიღუსურვილი, რელიგიური, მთიულური, მოვლისმოცველი აოეზია, ჯერ-ჯერობი არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კო...

და გოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლექტის, მტრობისა და სიძლვილის გველვაპავი მისწოდია...“

გათ იციან იმ იღვენა დედამიზის ისტორია.“

გულება სარაზვილი
კოეტი, გალაკტიონ ტაგიმის არემის ლავრიატი
ჯუმგვრ ლექაგას სახელობის მეცნიერებათა
სამოიაზორისო მრავალპროფილიანი
აკადემიის პრეზიდენტი



„გულიფიან შეხვდი ყოველ ქაბას, ყოველ
ძაგებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ
(გაგრძელება)

საოცარი პოეტური სითამამე ჩანს სტრიქონებში:
„ხელო გიყრია მყინვარწვერი ლამპარივით, ქართულ
სიტყვის მთა-გორებზე მოჯადოქრობ...“

პოეტს ეოცნებება მოსესავით „ცეცხლისა“ და
„მაყვლის ბუჩქის“ ხილვა მაღალ მთაზე; „ოუ შენი
მზე გაიფურჩქნა, ისე ახვალ მაღალ მთაზე, ცეცხლს
იხილავ მოგიზგიზეს მაყვლის ბუჩქთან“ (ვითარც წი-
ნაპართა სული).

„მადლის მწვერვალზე“ ეზიარება საღვთო სიბ-
რძნეს: „შესციცინებ მადლის მწვერვალს და გადმო-
დის სული სიბრძნის“ (ნათელი რომ შეაშინოს).

მთვარის მთაზე კრავი უხილავს „ოეთრი შესამო-
სელით“ (ხილვა: სიონის მთა).

კრავი ქრისტეს მეტაფორული სახელია.

ღმერთთან მოდავე პოეტი, სიყვარულის გამოცდის
წარმატებით ჩააბარების შემდეგ, სიონის მთაზე მაღ-



ლლება და ზეციური გალობა ესმის: „მიყვარდა და მიხდებოდა მასთან დავა, რადგანაც ის სიყვარულში, ვითარც იობს, ჩუმად მცდიდა. ახლა სხვაა... მე სიონის მთაზე ვდგავარ და გალობა მესმის ციდან“ (მიყვარდა და).

პავლე მოციქული წერს თანამეინახე ებრაელებს: „ოქვენ მიეახლეთ სინას მთას და ცოცხალი ღვთის ქალაქს ზეციურ იერუსალიმს და აურაცხელი ანგელოზების, კრებულს და პირმშოთა ეკლესიას, ცაში რომ არიან ჩაწერილნი და ყველას განმკითხავ ღმერთს და განსრულებულ მართალთა სულებს და ახალი აღთქმის შუამდგომელ იესოს“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 12, მამა, 23, 24).

ოქროს საწმისისა და გრაალის ორდენის რაინდი „ხსნის მთას“ ეძებს ღვთაებრივ კუნძულზე, სადაც წმინდა თასი ინახებოდა ღეგენდის მიხედვით: „შორეულ წარსულიდან, კვლავ მოვუხმობ, ოქროს ვეძებს“. არც მარე ჩანს და არც რამზეს და ვით ნებროთ, მთას დავეძებ, რომლისაგან აღმოვალს მზე“ (შორეულ წარსულიდან).

ერთ დროს „ხსნის მთა“ გრაალის და „ფილოსოფიური ქვის“ სავანე კოლხეთში იგულვა (აპა, ჩემი კოლხეთი).

პოეტის რწმენით, პონტოს ზღვაშია ღვთაებრივი კუნძული, „პოლარული მთა“ და გრაალის თასში განსხვაულებული ლაზურ-მეგრული სული: „შორ



წარსულში აფრებს შლის სული ლაზურ-მეგრული. ვიცი, პონტოს ზღვაშია დვთაებრივი კუნძული, თანაც „პოლარული მთა“ და თასი იქ მეგულვის“ (შორ წარსულში).

მერე ქართლის ცის ქვეშ ლოცვად მდგარი „მთანი მაღალნი“ ქჩენა გრალის ტაძრებად (მთანი მაღალნი).

ერთგან მთაწმინდაზე იელვა „ხსნის მთამ“: „მტკვარს და თბილისს წყვდიადი ათოვდა და აწვიმდა, მერე უცებ ინათა და გამოჩნდა მთაწმინდა ვით „ხსნის მთა“ და „წმინდა მთა“ (მტკვარს და თბილისს).

„გრაალის საყდრებია მწვერვალები“, ამბობს ლექსში „მწვერვალები“.

პოეტის მაღალი მთები „წყალს სვამენ... კოლხური ჭიდან, მომდინარეს ქართვლის დიდ აუზიდან“ (შენ როგორ გგვანან).

ქართლის მთები „სისპეტაკით ნათლისძების ფერია“ (ამაყი და თავმომწონე), კავკასიონი ნოეს კოლხური კიდობანია (ჩაუვლიათ). მთის და ენგურის ძალმოსილებაზე ხაზგასმით კეთდება აქცენტი და იქმნება დიდი პოეტის განუმეორებელი სახე: „წარსულის მთიდან გადმომხტარი შენ ხარ ენგური, კლდეებს მიშლილი... მთვარის კი არა, შენ ხარ მზის



შვილი და დრო ვერ შესძლებს შენს ძირს დამხობას“ (წარსულის მთიდან გადმომხტარი).

განუმეორებელი ხედვითი სახეებია მთის გამოყენებით შექმნილი: „... ყინვა თოვლს დაუკრავს თეთრი მთების კლავიშებზე“ (როს გაწყვეტენ ელვის აღვირს), მთები კოლხი წინაპარი გოლიათების ძეგლებია (ეს მთები), ფშავ-ხევსურეთის მთებია ამფორა, პირთამდე სავსე შავ-თეთრი არაგვით (ფშავ-ხევსურეთის მთები), მთები... სპეტაპ თოვლით წირვას ასრულებენ (მთები), კავკასიონი ქრისტეა, ჩვენს ქართულ ცას მიჯაჭვული) (კავკასიონი), მთებს მთვარე ეპურათ თასად (დამის მიღმა). თეთნული თეთრად მოსილი, ელვის ნათელზე მოჰგავდა ქრისტეს აღდგომას მკვდრეთიდან (ვარსკვლავთა ჯოგებს ბდაოდა), მთამ ზღვას ნისლის კრაველი გადაუფინა (მთამ ზღვას ნისლის კრაველი), თოვლის გვირგვინით დაზინული კავკასიონი საფლავი არის ამირანისა (ვარიანტი), თეთნულდი დევის კოშკივით მოჩანს (დამესგანეთში), და ეგრისის თეთრი მთები თითქოს ლაზთა გემებია თეთრი ნისლის აფრიანი (ეგრისის მთები), ანგელოზების თავის ქალებია მთები (მთები). გამორჩეული სახეა ყინულის ტაძრის სიცილი: „გამოქცეული მიწიდან, ზეცას სიმაღლეს აძალებს, ნისლის მუმლს ვეღარ იცილებს და დგას ყინულის ტაძარი და ზარებს რეკავს სიცივის“ (მყინვარი).



ბალზე შთამბეჭდავია თეონულდის თეორი სიყვარული: „შხარა არა, თეონულდი, მთებზე თოვლით დაწერილ თეორ სიყვარულს მითვლიდა და მესმოდა კიფილი დალის, კოლხურ მითიდან“ (შხარა არა, თეონულდი).

პოეტის მიზანია ფრთიანი რაშით მთათა შორის მაღლა აფრენა, საუკუნეთა იქით გადახედვა: „... ფრთიანი რაში სურს გაიხედნოს და მთათა შორის აფრინდეს მაღლა, საუკუნეთა იქით მშვიდად გადაიხედოს“ (ადიდებული დამის წყვდიადი).

მთების წიგნებს კაფიებით კითხულობს და ეოცნებება მთის კალთაში ფშაველი დევივით მიძინება: „მთებო... თქვენს წიგნს გადავშლი, სადაც კაფიები მძივობს და დმერთმა ქნას, თქვენს კალთაში, ვით ფშაველ დევს, მიმებინოს“ (ჩარგალში).

პოეტი არწივი მთებიდან ყივის, ზვერაგს „მარადის ცისფერ მწვერვალებს“: „თავს დასტრიალებს მთებს და ჭიუხებს, ხმა გამყივარი ისმის არწივის, ამომავალი მზისებრ ელვარე, რომელიც მზერას ვედარ აცილებს მარადისობის ცისფერ მწვერვალებს“ (პოეტი არწივი).

კოსმოსის იქით ფიქსირდება მნათობებზე მაღალი უსასრულობის ფიქრის მწვერვალები: „... კოსმოსის იქით კი მნათობები თვალს ვერ უწვდენდნენ უსასრულობის ფიქრის ისლით მოსილ მწვერვალებს“ (ყონულის ჯაფშნით).



პოეტი შეუდარებელი ძალით უგალობს ცას, ზღვას, მიწას, სამყაროს და ამ ორკესტრში გამორჩეულია მთებისადმი აღვლენილი გალობა, რომელიც უკვდავების მომნიჭებელია: „ვაჟავ, გალობით ფრთოსნების, უკვდავებისკენ მიყავხარ მთებს ბუმბერაზებს ხელკავით“ (ვაჟავ).

კავკასიონის სიმაღლეზე იხილვება პოეტის „იქმენ ნათელი“ – „წიგნი ამირანი“, კავკასიონის კლდეს მიჯაჭვული (ელგა).

ერთგან პელიკონის მთასთან ასოცირდება ლექსები: „ცას ებჯინება ჩემი ლექსები მთა პელიკონის...“

„პოეზიის კლდეს მიჯაჭვულმა“ პოეტმა „გადაავლო მთებსაც პუნე“ და, ბუნებრივია, წმინდა მთა ეიმედება საბოლოოდ: „დრო მოვა, როცა შენს ბოლო იმედს თავს შეაფარებ მთაწმინდის მდგიმეს“ (ბოლო იმედი).

ზესკნელს, ქვესკნელს და გარესკნელს უცხო ნათელი, ციური აზრი ეფინება „კოლხური ფსალმუნებით“, რაც საწინდარიამისა, რომ მსოფლიოს იდეალად იქცევა „კავკასიონის ქნარი“: „ზესკნელ-სქვესკნელს და გარესკნელს უცხო ნათელი, მოპფინოს, მეფობს ციური აზრი. მალე დაუკრავს მსოფლიო აბგასიონის ქნარზე“ (მეფობს ციური აზრი).

სწრაფვის საოცნებო ადგილია პარნასის მთა (ის არ აშორებს თვალს). მისი პოეზიის პეგასი პარნასისკენ მიისწრაფვის (მაინც გხედავ მეორედ).



ზევსისა და აპოლონის ხელდასხმული პოეტი პარ-
ნასის მთაზეა წვეული: „სუფრას ზევსი თამაღობს...
და თავს იკლავს ებანი. წუხს წინწილი და ნასი.
აპოლონი ხელს გიქნევს მაღალ მთიდან პარნასის“
(პარნასის მთაზე).

სულის სიმაღლით, ტიტანური ტომეულებით მარ-
ცხედება შურიანი თვალბედითები, პოეტი პარნასზე
მკვიდრდება და ჰერმესივით, უკვდავებას ართმევს
ხელს: „როცა შური და ათასი თვალბედითი არ
გშორდება და შორიდან გითვალთვალებს, რა ძნე-
ლია სიმაღლე და სიმარტოვე და როდესაც „იქმნა
ნათელ“. პარნასს აველ, ვით ჰერმესმა, მოკვდაობა
მიგატოვე“ (როცა შური და ათასი თვალბედითი).

პოეტი გაშინაურებულია აზრის საჭეომპყრობელ-
თა საოცნებო „უსასრულობის ფიქრთა მწვერვა-
ლებს“, ოლიმპოს და სინას მთას: „ვჭვრებ: ვით მაც-
ხოვარს ხელს მიქნევს ოლიმპოს და სინას მთა“ (33
წელია).

ოლიმპოს მთებიდან ესმის ზარების რეკვა და
ისევ აპოლონია მისი სიდიადის თავსმდები: „ქაოსი-
დან ნაშობი მზეებით და მითებით, ვით მირიად
წლის წინათ, თვალი ისევ გევსება და ოლიმპოს
მთებიდან გესმის რეკვა ზარების. კოლხ ჰეთესტოს
ნაჭედი შენი ცა და ლექსები, თვითონ აპოლონისგან
არის ნაზიარები“ (ქაოსიდან ნაშობი).

ვაჟა ეგრისელისთვის პოეზია დიდგორის ომია, ამიტომაც დგას „კლდეზე დიდგორის“ (დიდგორზე).

„მთა პოეტის“ საასპარეზოა ვარსკვლავეთი, ცა, ზღვა: „ძირს ჩამოდის სინათლედ ვარსკვლავების სიცილი, ნავსაყუდლად ცა ჰპოვე. ზღვა კვლავ შემოგციცინებს ისე, როგორც მთა პოეტის“ (მთა პოეტი).

მირიად სინათლეს ასხივებს მისი პიტალო კლდეზე დაკიდებული სიტყვა (ისე, როგორც ალკიდიმ).

„ოქროს სიტყვით დარახტული“ პოეტის ჰუნე მთებზე ფრენის დიდოსტატია, ორ დავითზე მლოცველი: „ოქროს სიტყვით დარახტული, როს გადუფრენს მთებსაც ჰუნე, მაშინ ლოცვას ცად აღუვლენ ორ დიდ დავითს: ერთს მეომარს და მეორე მეფისალმუნებს“ (ორი დავითი). „პოეტის მფარველია მთები მუზები“ (სამშობლოს ლაუგარდ ცისკენ მზირალი), იმედია „მთა ქორიბის, მოსეს კვერთხი, კლდე და წყალი“ (კლდე და წყალი).

მთაწმინდაზე მდგარს სიმაღლე ეცოტავება, ცადაწვდენილ მწვერვალებს ჭვრეტს რუსთაველში, დანტეში, გოეთეში (როცა ცადაწვდენილ ვუმზერ მწვერვალებს).

„სიყვარულის კლდეს“ (სიყვარული – ქრისტე ღმერთი, კლდე – მარიამი) მიჯაჭეული ეთაყვანება „ცას მარადიულს“ და „ცეცხლს დვთაებრივს“ (ღმერთს).



მთაწმინდა, ქართული ცა, პოეზიის რჩეულთა გვერდით ამაღლებაა პოეტის მიზანი: „აქ მთაწმინდაზე, ქართულ ცას სიმაღლით თვალი ევსება. აქ ბინადრობენ ნაღდები. აქ, ფრთხილით ციცქა ლექსების, მოვკვდები, ან ავმაღლდები“ (აქ, მთაწმინდაზე).

მრავალმნიშვნელოვანი განაცხადია: „ვით დიდი მთები და მწვერვალები პონტოს მწუხარე ზღვაში აძინდა, – ის, რაც დიდ ვაჟას დარჩა უთქმელი. შენი ლექსების ფარზე აზიდე სიამაყე და სიძრმნე რუსთველის“ (ვით დიდი მთები და მწვერვალები).

მერე საქუთარი სიდიადის შეგნებით სცადა სიტყვის მთებთან კუთვნილი ადგილის დაკავება: „ქართული სიტყვის უკვდავ ტოტზე მეც ვარ ნამყენი. მიწი-მოწიეთ მთებო, მხრები გოლიათური და ოქვენთან ერთად მეც დამაყენეთ“ (მთები).

პოეტს გათავისებული აქვს მთელი ცისქვეშეთი,

დედამიწა, სამყარო, ზეცა, პლანეტები, ტრანსცენდენტური, კოსმიური ცა, ვარსკვლავეთი, ცანი ცათანი.

დედამიწა ხელისგულზე უზის ბარტყივით (სამყაროს წამში ათასჯერ უვლი), პოეტი თვით არის დედამიწა (დღისა და დამის დედამიწა ვარ მე), დედამიწას ჩასცემის თვალში, საუკუნეს უსინჯაგს მაჯას (პოეტი).

„დედამიწის სადღეგრძელოში“ აცხადებს: „ვით ყოველ მოკვდავს, შენც, მზის ნაშიერს, ბოლო მოგო-

ღო წუთისოფლის ბორბლის ტრიალმა და ბრუნოსა-
ვით მარადიულ ცეცხლში დაიწვი. ხელში გიჭირავს
მთვარით სავსე ზეცის ფიალა და სადღეგრძელოს
სვამ დედამიწის“ (დედამიწის სადღეგრძელო).

ადამიანი თვითონ არის სამყარო, ზეცისა და
მიწის გამთავისებელი: „დღისით მზე მიზის თამა-
მად, დამით ვარსკვლავთა მახლავს მაყარი, რომლე-
ბიც ცისქვეშ ათასწლეულებს დააგელვებენ. მე დავა-
ტარებ ჩემში სამყაროს აწეული ხელების ბიგელე-
ბით“ (დღისით მზე მიზის თამადად).

„მე ვარ საფრანგეთი!“ – აცხადებდა ფრანგი პოე-
ტი პოლ კლოდელი. „მე ვარ სამყარო!“ სამყარო ჩემი
სულია! მზე ჩემი სულია! მე ვარ დედამიწა“, გვამ-
ცნობს პოეტი და გაოგნებული ვრჩებით მისი სულის
უკიდეგანობით.

„პოლხური ფსალმუნების“ ავტორი წარმოგვიდგე-
ბა ზესკნელ-ქექსკნელის მეუფედ: „მარადისობის ბი-
ნადარს მიწის და მთათა მაყარით და ცის მნათობთა
ფრესკებით, ჩემშია, ღმერთო, სამყარო ზესკნელითა
და ქვესკნელით“ (მარადისობის ბინადარს).

„სამყაროს მხრებზე“ უდევს „ტორები“, „სამყაროს
წამში ათასჯერ უვლის“, სამყაროს თავისთავში დაა-
ტარებს, ეძახის „მღვრიე და ასტრალური სამყარო“,
ჭვრეტს ხილულს და უხილავს (იდუმალ მხმობს სამ-
ყარო).



სამყაროს ყოველ ქმნილებასთან სიახლოვე ასე აქვს გამოხატული: „ვეძმე ზღვებსა და ოკეანებს და მზემ და მთვარემ შვილად მიწამა. ვდგავარ სამყაროს საიმედოდ და სამსახურად. ადამის ძე ვარ, დედამიწა ჩემი მიწაა, თავზე მსოფლიო ზეცად მახურავს“ (ვეძმე ზღვებსა და ოკეანებს).

სამყაროსთან კავშირი არავის გამოუხატავს ასე ძლიერად: „ხელო გიპერია სამყარო, ვით სიცოცხლის მტევანი“ (შენი თქროს ფეხი).

ქვეყნის ოთხივე კიდეს ხეტიალობს (მთვარის თეთრი ჩახით და), პლანეტებს გარს უვლის, ზენარი ცეცხლით ეახლება მარადისობას (ცაზე ეცემა ჩრდილი გოდოლის) ეძახის „სხვა სოფელი (ნათლით შემოსილს), ერთნაირად აინტერესებს ქვესკნელი და ზეცა, შორეული ცისფერი სავანე (გონის სარკე შორეთში), ტრანსცენდენტური პლანეტების უღრანები (კვლავ აყრუებს სამყაროს), ვარსკვლავების ყვითელი ქვაფენილი“, ოთხივე სკნელი...

ცას და მიწას, კაცს და ღმერთს თვით გრძნობს საკუთარ არსებაში, ჯერაც უცნობ და უსამანო სივრცეებში მოარულ პლანეტად ქცეული, ახალი პოეტური პლანეტის შემქნელი (ცაც ხარ და მიწაც).

დედამიწის, ხილული სამყაროს მიღმა ისტრაფვის მისი უსამანო სული: „შენ უსამანო სივრცეს გასძახი: – სადაც თავდება დედამიწა, მე იქ ვიწყები“ (ღრუბლები ღამის ვარსკვლავებით).



მარადიული მგზავრია პოეტის სული – „სარვა გა-
ბა“, რომელსაც ყველგან მოგზაურობა სურს: „მე-
ლის ქამთა მიღმიდან ოქროს ვერძის ბდავილი და
არაფერს ვამეტებ: დღე ერთია, ათასჯერ, კუნჭულ-
კუნჭულ დავივლი სვეროებს და პლანეტებს“.

ნათელმსმენს სამყაროს კვნესა აძრწუნებს: „ჯგარ-
ცრცულ სამყაროს კვნესა ათასწლეულებს მიაქვთ და
ცასდაკლულ კრავს ვადრი. ისევ ედება იას ფერი მე-
წამულ ვარდის“. პოეტისათვის მიწა, ცა, სამყარო უპ-
ვდავების წყაროა: „მიწიდან ცამდე ეს სამყარო, უპ-
ვდავების წყაროდ შესვი...“

მას სამყაროს სატკივრები ზურგზე ხურჯინივით
ჰკიდია, რათა სამოთხისკენ უჩვენოს გზა: „მოგიგდია
სამყარო ზურგზე, როგორც ხურჯინი და წყვდიადში
კი არა, სამოთხეში მიათრევ“ (მზის და მთვარის
თვალება).

დემონის მოძულე, რწმენით სავსე პოეტის საასპა-
რეზო მთელი სამყაროა:, სხვა რწმენით და იმედით,
შემოგყურებს ეპოქა, რადგან დემონს არ ყვარობ. მა-
ლე აღარ გეყოფა სათარეშოდ სამყარო“ (სხვა რწმე-
ნით და იმედით).

პოეტს ხელეწიფება, მთელ ცისქვეშეთს გააწვდი-
ნოს მზერა და ეცოტავება ეს სამყარო: „წამს, ცის-
ქვეშეთს ვტყორცნე მზერა და წუხილი დამეუფლა: –
რა მცირეა ეს სამყარო და ვით დავით, შევსოხოვ



უფალს, მისი ჩრდილი დამაფაროს“ (წამს, ცისქვე-შეთს ვტყორცნე მზერა).

სამყარო აღიქმება, როგორც აპვანი: „მოვარე არა, სამყარო არის შენი აკვანი, ეს მზე და ვარსკვლავები არის შენი ნადავლი“ (რა ღრუბლები).

სიყვარულის ძალით არის მიჯაჭვული მოელ სამყაროსთან: „შვიდი მილიარდი გიცემს მკერდში სამყაროვ, მე და შენ გვიყვარს ერთმანეთი“ (შვიდი მილიარდი).

უკიდეგანო სულს ხელეწიფება „უშორეს და უსამანო“ სივრცედ იქცეს: „დედამიწაზე მოხეტიალე შენა ხარ სივრცე უშორესი და უსამანო“ (სოფლის ღობიდან გადმომდგარი).

მზის და მოვარის ცისფერი ღერძით სული სხვა სამყაროში ცდილობს გასვლას: „სიკვდილს არა, მქროლავ დრო და უამს, მიაქვს სიცოცხლე, როგორც ნადავლი. სადღაც ჭრიალებს მზის და მოვარის ცისფერი ღერძი. და ჩემი სული იმ შავ მანდალით, სხვა სამყაროში გასასვლელს ეძებს“ (მანდალა).

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „რა ფასი აქვს ამქვეყნად მოსვლას, თუკი იგი ისეთი დატოვე, როგორიც შენამდე ყოფილა.“

გაუა ეგრისელის ზრახვები და მიზნები სცილდება ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაწესებულ ზღვარს, მას სურს სამყარო სამოთხეში გაიყვანოს, სიყვარულით შეარყიოს, მეხური ხმით გამოაფხიზდოს: „სამ-



ყარო რომ შეარყიო, მიდი, ერთხელ კიდევ სცადე; სივრცეს დასცე ხმა მეხური. მერე, მეთერთმეტე ცამდე აჰყევ მნათთა მოოქროვილ საფეხურებს“ (სამყარო რომ შეარყიო).

„ოქროს ფიქრები“ სხვა პლანეტებზე ეძებენ „წყაროს სათავეს“ – დმერთს: „შენი ოქროს ფიქრები სხვა პლანეტებს ერთვიან, როგორც წყაროს სათავეს“ (შენი ოქროს ფიქრებიმთელი სამყაროს მოხილვის შემდეგ, ვარსკვლავებში ეგულება მარადისი სავანე: „შენ სამყაროს გარს უვლი, ვით იქსო გალილეას, იუდეას, სამარიას, რაღგან იცი, ცად მიმოყრილ ვარსკვლავებში მარადისი შენი ოქროს სამარეა“ (შენ სამყაროს გარს უვლი).

წმიდა იოანე დამასკელი, რომელსაც სწამდა ადამიანური სულის უკიდეგანობა, დმერთთან მსგავსება, წერდა: „ადამიანი არის მცირე ქვეყნიერება“ (37, 362).

წმიდა მამებს სჯერათ ადამიანის ცადამაღლების უნარის: „ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ საჭურველთაგან ნაკლულოვანია, გონების აღმატებულობით თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია“ (ნეტარი ავგუსტინე) (7, 267).

დანტეს ცაში ეგულებოდა „იმ წიგნის სანუკველის“ (ლმერთის) სიქველე, „ნათელი ცისიერი“, „ციური საზრდო“, დვთაებრივი სინათლე, უფლის ბაღი, მებაღე (ლმერთი) ჭეშმარიტი არსებობის საწინდარი და ამ მოგზაურობის შედეგი იყო სხვაგვარი მზერის,



ახალი ჭეშმარიტების მიკვლევა: „გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია“.

ცის უსაზღვროებას ნაზიარები, გადიადებული სულის სიხარულს გვამცნობს „ლვთაებრივი კომედიის“ აგტორი: „... სული ჩემი ცაში გადიდებული, აღტყინდა უცებ, გადალახა სამანნი თავისი“.

და პოეტი სამადლობელს აღუვდენს ზეციურ ნათელს, ვარსკვლავებს: „პო, ვარსკვლავნო დიდებულნო, პო ნათელო, ოქვენ ნატვიფარნო სიქველისავ, ეს თქვენ წარმოშეით ჩემი გენია ისეთივე, როგორიც არის“ (ლვთაებრივი კომედია, გვ. 352, 369, 366, 293).

დანტე უმდეროდა „სამყაროს რიცხვით მეორეს“, „განწმენდილი და განსპეციაკებული სულის ცადამაღლების ნიჭს“ (38, 37).

„უსიერ ტყეში“ „გზადაკარგული“ და გამოფხიზებული პოეტი მგზავრობდა „ნდომით, სულის ფრთებით, რეალურად ერთ ადგილზე შთენილი“ (გვ. 141). ასე მიაღწია სულმა „ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს“ (38, 391), მეშვიდე სფეროს, პლანეტას – „გარდასულ დღეთა მპყრობელად“ წოდებულს (38, 360).

იტალიელი გენიოსი ასკვნის: „ნუ გაოცდები, რომ შეიძლო შვილმა სოფლისამ ჭეშმარიტების მისტიურის აგრე ჩაწვდენა. ეს მან შეიცნო, ვინც იხილა ცათა საუფლო“ (38, 392).



ვაჟა ეგრისელის სულმა დაიტია მთელი სამყარო, რადგან მისი გონი კაცობრიობის გამოცდილების გამთავისებელი, სიბრძნესთან წილნაყარი გონი იყო: „გონი კაცობრიობის სიბრძნის ქვაზე ნალესი, ხსოვნის ციცქნა წერტილში მთელ სამყაროს ითავსებს. ნათელია მზის თასის, მზეს რომ უდგას თვალებში“ (მზის თასი). ცაში ფრენის ძალის მომნიჭებელი მამულისკენ მიგვახედა: „და ჩემი სული უქრობ ცეცხლივით ჩემი მამულის შუაკერიდან მიიწევს ცისკენ“ (ჩემი სული).

კოლხური და ქართული მზის სიყვარულის მადლი იყოს ცასთან მიახლების საწინდარი (წყვდიადით ამოსული).

ქართლის ტაძარში მღოცველს, სამშობლოსთვის დამაშვრალს, მუდამ „საქართველოს ცა“ უბრწყინავდა თვალებში (სამშობლოსთვის ყოველთვის).

უველგან და ყოველთვის საქართველოს ცა ეხურა ნამუსის ქუდად: „ზამთარ და ზაფხულ, შინ და გარეთ, ყველგან და მუდამ მე საქართველოს ცა მახურავს ნამუსის ქუდად“ (ზამთარ და ზაფხულს).

პოეტმა უკვდავყო „ოქროს წვიმის ყაისნადით მოქსოვილი კოლხური ცა“ (კოლხური ცა).

ზეცა იხილა, როგორც „ავგეას თავდა“ (ცა ავგას თავლებია), ჭერბა შეპარული ცის და მზის გადასარჩენად მოუხმო თაობებს (ცა ჭერბა).



„ცის ვარდისფერ გონს“ მიეახლა პოეტი (სიხარულად მოფრენილი) „გონის სარკით“ შორეთში „ცისფერი სავანე“, ჩვენი „სულების იასამანი“ იპოვა...

„საღვთო ნიავმა“ მისი სული ცაში არწია, „ციური მანანას“ მისწვდა.

„ცის ყანას“ თესავდა (წარსულიდან), სისხლით და სულით წერდა, ატლანტივით მხრებით ეჭირა პოეზიის ცის თაღი: „ფრთიან ისრებად ნატყორცნ სტრიქონებს სისხლში ვავლებდი და სულს ვატანდი და პოეზიის ლურჯი ცის თაღი მხრებით გეჭირა მსგავსად ატლანტის“ (ფრთიან ისრებად).

პროფ. ლუარა სორიძია

გაგრძელება შემდეგ ტომში



ქარი – თაგხედი

იდგა სიჩუმე და სიმყუდროვე,
ზღვისკარად ქოხში
ლოცულობდა ძველი მენავე,
სადღაც შორს, ვიღაც აღვიძებდა
„ავე-მარიას“...
გეღარ მოასწრო ღრმად მოხუცმა
ზღვისკენ გახედვა,
რომ ვით მეკობრე,
შემოვარდა ქარი – თაგხედი
და ყველაფერი არივ-დარია.

2014

ଲୁହରମୀ

ଓ ଫା ମିଠା ମେରେବଥୀ ଏହିକାଳ
 ମେଆଠିବରେବେ...
 ଧୂଳିଯି ପ୍ରେଷନ୍ତ କଷନ୍ତିକାଳି:
 /ଗୋ ଏଣ ଜୀମିକୁ -
 ପ୍ରେଷନ୍ତ ପ୍ରେଷନ୍ତ/
 ବୋଜୁବାଳି ଫା ମାଟିକାଳି,
 ଝଲକରେବ ଫା
 ଜୀଲାକୁଳିକାଳି,
 ଧରୀକାଳି ଫା ଧରୀକାଳି.

1982



ელგა-იშდა

მთვარემ, ვით ქრისტემ ბნელ
ღრუბლებიდან,
როდესაც ჩუმად გამოანათა,
ცამ შუბლი შეკრა და...
გატყიურდა.
როს გარსკვლავების ატყდა
ყაყანი...
წამს გაკრთა ელვა,
როგორც იუდა.

2000



მარტყოფიც და დიღგორიც

ჩემი სამშობლოს მზის ყანას,
მსურს მე ვთესავდე!
მე ვმკიდე!
ამიტომ ჩემო ქვეყანავ,
ვდგავარ შენ წინ,
ვით სახატის.
რადგანაც ჩემო!
ჯერ კიდევ,
მარტყოფიც და
დიღგორიც,
ერთად მაქვს გადასახადი.

1989



პოეტი

ის გმირია და დღეებს დარჩენილს,
სხვაგან კი არა,
ისევ აქ იღევს,
რადგან შორი გზა –
მასაც აქვს ქუსლად.
და მჯდარს პეგასზე,
როგორც აქილევსს,
უკვდავებაში უნდა გაქუსვლა.

2018



ზღვაზე

ისე, როგორც დედა-შვილი,
ტალღას ტალღა მოჰყავს ხელში
აყვანილი,
როს იხილეს,
მთებმა მხრები წამს აწურეს!!!
ზღვა კი ბორგავს...
და ზღვა ხვევის,
ქარიშხლისგან გაბარული.

1958



გარსპოლაგიანი ლამა

ლამის ტაძარში მარტოსული
წრიალებს მოვარე
და აჩენს თავის
მოტეხილ ყუას.

ცა ვარსპოლავების არისხებს ზარებს.
მაგრამ არ ესმის დედამიწას,
რადგანაც იგი დაბერდა და...
მოხუცი ყრუა!!!

1963



უკვდავებიდან გამოპარული –
მთაწმინდის სიო ვედარ
გაგართობს,
თუნდ ვარსკვლავები ციდან
აყაროს,
არვის ეგონო უმისამართო,
შენი მისამართია –
სამყარო.

2018



ნადური

ჭირი არის თუ ლხინია,
მას საიდანდაც ყოველთვის –
მოქსმის პანგი „ნადურის“,
რადგან სიმღერა –
პოეტის
პვლავ რჩება –
ძაღლ-უმადური.

2018



ବେଳଗର୍ଜୀଙ୍କା –

ଜାରି ଲାଗି ହେଲାମନ୍ଦିର...

କାନ୍ଦିଲାରେ କାନ୍ଦିଲା,
କାନ୍ଦିଲାରେ କାନ୍ଦିଲା,

କାନ୍ଦିଲାରେ କାନ୍ଦିଲା,

କାନ୍ଦିଲାରେ କାନ୍ଦିଲା.

1966



ორი ადამი

უფლისაგან რჩეული,
ზეციერი ადამი,
იყო ადამ კადმოსი.
ხოლო მიწიერი კი,
ზეცს შეციცინებდა,
მომლოდინე წამიწამ,
ღვთისგან მადლის –
გადმოსვლის.

1963



ସାମନ୍ ପରାମରି

ମାରାଫିଲିମ୍ବି କପରଗେଡ଼ି ଦିନାକ,
ଫଲ୍ଗ-କୋରାଫାଗ ସାମନ୍ଦରବଲ୍ଲବ୍ରତିକି
ଅନ୍ତରୀଳ ଏବଂ
ଗିନ୍ଧି ମହେତୁ ପରିଷିଳି:
ଅଜ୍ଞା,
ସାମନ୍ ପରାମରି –
ଲାଖି,
ମନ୍ଦିରି ଏବଂ
ଶେରିରିଯି.

1960



არ გვაძლევენ იმის ნებას,
რომ შეგვეძლოს –
სიყვარულით –
ღვთის ტარება,
და სურთ ქართველთ დაავიწყონ
„ათი მცნება“,
ასევე „ცხრა ნეტარება“.

1959



ძუა ჩეს პლიტები

ეს მოქმი კი არა,
 წინაპარი დევებია,
 კოლხებს რომ სალოცავად
 მიაჩნდათ.


„კოლხური ფსალმუნები“ –
 ქუა ჩეს¹ – კლდეებია.

მერე ქცეული ხატად
 და ქიაჩად².

1989

¹ ქუა ჩე (მეგრ.) – ოეთრი ქვა.

² ქიაჩი (ხატი) სოფელი – წალენჯიხის რაიონში.



ძარიშხალი ზღვაზე

მიმწერისას ქარმა დრუბლებს,
ხურჯინივით უწყო ბერტყვა,
ზღვა ბდაოდა ისე,
როგორც ბოსელი.
ცას კი, ვითარც იოვანე ნათლისმცემელს,
ტანთ ემოსა აქლემის თმის
სამოსელი,
წელზე ცისარტყელა ერტყა.

1959



ოთხი სახარება

საქართველოგ ჩემო დედავ,
ისე, შენმა გახარებამ,
რომ გარიდო ყოველივე
სიტყვა თქმული უხამსი
და თბილ გულზე მოგიფონო
მე,
ოთხივე სახარება:
იოგანეს და
მარკოზის,
მათესი და
ლუკასი.

1969



სიცოცხლე

მიგალო და...

იქვე გაჩნდება ეტლი.

რაა სიცოცხლე?! –

სულ ერთი დღით –

ფარფატი პეპლის!

1958



გარსპოლავი

„ციხ კიდებული ის ვარსკვლავი ისე მოჩანს,
კით იქნოს ხელისგულზე ნაღურსმაღი.“
კაჭა კვრისელი

ზოგ მესიტყვის სანთლის შუქი,
შენს ლამპართან –
ჩანს მიმქრალი,
თუმც იმატა სიტყვის ფასმა.
მაგრამ სხვათა ნაფიქრალი,
არღირს შენის –
ხამლის თასმად.

2018



ქორიბის მთაზე

უფლის ანგელოზები
თავზე დასტრიალებდნენ
ჩუმად,
როგორც ქორები.
ლოცვით დაღლილ იესოს,
წმინდა მთაზე ქორიბის.

1960



ସାହଚରତଗୋଲ୍ଲାନ୍ସ

ଘ୍ରାଣ୍ଡିଜ ଅତାସିର୍ଫଲ୍‌କୁଳତା,
ଶର୍ମତଙ୍ଗିର ଦେବରି ଗିରମଜ୍ଜେ....
ଏବଂ ଆବାଦ ବୈଷ୍ଣବିଶ ଗାହାଲ୍ଗେବ,
ଗିର ଫରାନ୍‌ଦ୍ୟା ଗିରନୀ!
ସାମନ୍ଦରିବିଲାକୁଳିଶିରିଶ –
ଶର୍ମିଜି,
ଏବଂ ମଧ୍ୟରେବିଶିରିଶ –
ଶର୍ମିଜି.

1967



აიღთ პელიოდის ძეგ

თავისუფლებას გშიმშილობთ,
რადგან სამანი დასავლით –
პონტოსთან „აფხუასი“ და....
აღმოსავლეთით „ოსისის“ ძევს!!!
გელით!
გეძახით! –
გზის შვილო!
აიგე¹ პელიოდისის² ძეგ!

1993

¹ კოლხეთის მითიური მეფე

² გზის ღმერთი

მოხუცის სიპდილი

/ვარიანტი/

ცრემლიანი თავლებით

ჯარგვლის ჭუჭრუტანიდან

გახედა ცის უტევანს.

(აღარ ჩანდა მერწყული¹)

მერე ისე,

ვითარცა,

ჯვარს გაკრულმა

იქსომ

ჩუმად „ოქუა – მე მწყურის!“

და...

„სული განუტევა“.

1966

¹ მერწყული (ლათ.) – ზოდიაქოს ერთერთი თანავარსკვლავედი. მათში ჟველაზე გაშეკაშა ვარსკვლავი.



თექვსმაფი წლის მეზე დაგითი

საქართველოს სისიხლის მსმელთა,
ხმალ-ხანჯალთა
სიმძიმისგან
ქართლის მთებმა იწყეს დრეკა!
მაგრამ მეფემ თექვსმეტისამ
სით მოვიდნენ იქ შერეკა.

1989



სამყარო – აგბიას თავლა

უსამართლობა მეუფობს ყველგან,
რადგან სამართალს გასვლია
ყავლი!!!

ურწმუნო სავლე, სრულქმნილა
პავლედ! –

(უფლისმსახური უერთგულესი.)

გადაქცეულა ეს სამყარო –

ავგიას თავლად¹!
არჩანს ჰერაკლე² –

/ჰერკულესი/.

1969

¹ ავგია (ბერძ.) მეფის თავლა 30 წელი არ გაწმენდილა და ძალიან იყო დაბინძურებული ერთ დღეში გაიწმინდა ჰერაკლემ.

² ჰერაკლე (ბერძ.) – ზეგსის შვილი, ნახევრად დმერთი, ნახევრად ადამიანი, გმირი, ლათინურად – ჰერკულესი.



მთვარის ფუთა

კოლხეური ცა,
ვით მედეა,
სიყვარულთან ერთად მალავს,
ვარსკვლავებით საგსე უბეს,
ასე,
ეპის მთაც და ურთაც.
და შორს,
სადღაც მიაქვთ ღრუბლებს,
ცრემლიანი მთვარის ფუთა.

1968



აზსშა, ოსი

„ძეგვე დავითმა მოუბახ იქნო
განახლნა მოხანა“.

ცუდად შემოგვეჩვია
„აფსუა“ და
ებ „ოსი“!!!
რომ დგას კავკასიონი,
მაქნისია ეგ რისი?!
ვაჟავ! ძეო ეგროსის,
უხმე დავითს! – ეგრისით.

1993



მთის ჭყარო

მღვენის სახლში მოგელით –
მოკამკამე მთის წყარო:
რემბრანტის და გოგენის,
დავინჩის და
ვან გოგის,
მანეს,
მონეს,
პისაროს.

1969



ତାର-କଲାରଜିଏଟିୟ

ଅଳ୍ପାତ ନ୍ୟାଯ ଦେଇଲିବିଲାଇରା! –

ସିଦ୍ଧାଂତବ୍ୟାଙ୍ଗ ଓହ

ଦାଲିବିଲାଇରା,

ଫିନାପରିଯାପିତା ରାତି ରାତି ବାରଜିଏବ.

ମାନିବ...

ଯନ୍ତ୍ରଣା ଆର ଗାନ୍ଧିରା

ହିତିକାନ ପାରିବା

ଓହ କଲାରଜିଏଟିୟ!!!

1966



მეღვა

პონტოს ზეირთებს გაჰყევი..

უკან ადარ მოხვედი!!!

წარსული კი –

წარსულობს!

თუმც შენს ხილვის,

კოლხეთი,

მუდამ მოიმედეა!

აიგტის ასულო!

– მედეე..

მედე!

მედეა.

1964



მთები

მთელი ღამე ვარსკვლავთა
ოქროს მარცვალს,
მთვარის ხელის წისქვილით
ცა ფქვავდა...
და მერე მიწამ ამოისუნოქა მთები,
ჩასუნოქა ვერ მოასწრო
და... გაქვავდა.

1962



ხილვა: ჰარიელი

შენ იხილე პირველმა –
მოყმე წყლისპირ
მტირალი
და ყორანიც ფრთაშავი.
პოეზიის ყამირი –
მიტომ გადააშავე
მოპირული ჩანგით და...
არა მოუპირავით.

1993



ურალუნო თომევა

დვოის სადიდებლად ზეცისკენ,

რომ აღაპყობენ

მარჯვენას

ხოგნი...

მაკვირვებს მე უფრო

– ღმერთი, რომ ყველგან მეუფობს

იციან...

მაინც არ ჯერათ!!!

2017




ბუნება,
ვით მთის წყარო,
ვაჟასავით შეირგე....
ფერთა გამა მოპარე
ვაგნერსა და
პაიდნის,
გოლბეინს და ბრეიგელს.

1964



ქარიშხალია ჩვენი ცხოვრება,
გვაკრთობს ტკაცუნი
დღეთა აფრების
და მოსვლის დღიდან,
ვიდრე წასვლამდე,
ჩვენ სიკვდილს ვსწავლობთ –
სხვა არაფერი!

2016



ა0, ის მთა

ზღვისპირ წამოწოლილი,

ა0,

ის მთა ინახად,

(რომ ართობს, ზღვის ნიავი),

გულში რამდენ სიავის,

მოგონებებს ინახავს.

2019



სულ არაა გასაკვირი,
გაზაფხული კი არადა,
ზამთრის სუსნიც
რომ მიყვარდეს
და ვეძებდე მძინარ თოვლქვეშ,
ფურისელებს და
ენდელებს,
იებსა და ყოჩივარდებს.

1965



ამპრი,
ამირანი,
მზეჭაბუკი

ვაჟავ! –
ჰელიოსის ძევ!
მზე, გწყურია და
მზე გშია!
ლეგენდებიდან მოსულნი –
ამპრი,
ამირან,
მზეჭაბუკ!
სამივე ახლა შენშია.

1969



ხობისწყალი

ცოფებს ყრის და ხობისწყალი,
მიუყვება რისხვით დამბას.
(ბებო ისევ ყვება მითებს.)
დამეს მთვარე უკეთია,
ვით სათითე
და ცას ელვის ძაფით
ლამბავს.

1966



შუმერები

„ერთპირი იყო მოუღი ქვეყანა და ერთ
ქნაზე მეტყველი. და როცა დაიძნებენ
აღოსავლურიდან, პავეჯს ვეღი შინეაარის
ქვეყანაში და იქ დამკვიდრდნენ“.

დაბადება თ. II, 1-2

ათასწლეულთა შარაზე,
მტერზე და მოძალადეზე
ჯავრი მრავალგზის იყარეს:
დაბოლოს უფლის წყალობით,
ერთად შეგროვნდნე
და შიეყარნენ!
და საცხოვრისად ირჩიეს
დიდი ქვეყანა შინეარის¹.

1970

¹ დღეიისთვის შინეარად მიჩნეულია ერაყის შუამდინარეთი.

ძნარი

როგორც დავით მეფსალმუნეს,
მე კოლხური ჩემი ქნარი,
ჩემი ციხის გალავანზე
მიკიდია

და მოველი პონტოს ზღვიდან –
როდის ჩამოივლის ქარი
და შეახებს მთოლვარ თითებს.

1966



მაღალთა თანა

მიხაწერი ათასგვერდიან ტომეულზე
– „იქმენ ნათელი!“

„ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა
თანა“¹

დაიდე ბინა სამარადისოდ.
მთვარის ჩანგია შენი
საკრავი.

ცას და მიწას შუა ვეღარ ეტევი,
მიტომ,

ვით ქრისტეს –
ჯვარზე გაკრავენ,
და გცემენ ასე თავგამეტებით.

1993

¹ ესაია წინასწარმეტყველი.

მოგვირგალები

წამომდგარან მწვერვალები
და ნისლიან თვალს
იფშვეტენ:
— ეჰ, რამდენი გვძინებია.
და მთაც ჩანგს ჰგავს
ყელაღერილს,
ოქროსფერი ბილიკების სიმებიანს.

1964



სიქსტეს პაპელა,
ფრესპა – „პარნასი“

მარტოსული,
და დასავლით მოარული
მოვარე,
მაშინ გაბელადდა,
ცამ როდესაც ვარსკვლავები დაასია.
და...

„კოლხური ფსალმუნები“ –
მიქელანჯელოს – „განკითხვის დღე“,
„სიქსტეს კაბელა“ და
რაფაელის ფრესკა – „პარნასია“.

1993



ხილვა: გაბილონის დაცემა

/ძვ. ვ. VI ს/

არის სმა და ღრეობა...

და ირყევა ურყევი

ბაბილონის გოდოლი,

უხილავი კედელზედ აწერს:

„მენე, ოეკელ უფარსინ.¹“

და... ძე ნაბუქოდონოსორის –

ბალთაზარი მოკვდბა,

რადგან დმერთს არ უყვარს ის.

1959

¹ დანიელ წინასწარმეტყველმა წააკითხა:
„ამედაშ ბაბილონი დაეცემა“ /იმ დამეს შეთქმულებმა
სიცოცხლეს გამოასალმეს ბაბილონის უკანასკნელი მე-
ფე ბალთაზარი/.



სულ უბედობას ჩიოდი,
მაგრამ აროდეს ემონე
დღეთა უბადრუკ მარულას
და „პეთილმსურველ“ დემონის
არ დამხობილხარ
ფერხთით!
რადგან იცოდი ფარულად,
სულ შენთან იყო დმგრო.

1971



გითა ალიბიერი

ბინად გქონდა სამოთხე –
ედემბადის იერით.
და არაფერს იგონებ,
ვითა ალიგიერი,
პონტოს პირას –
შენც თხზავდი
„ჯოჯოხევთის“ სტრიქონებს.

1962



ორი პლანეტა

შენ ხარ პლუტონი,
ის კი მერკური¹,
ფიქრმიუწვდომი –
თქვენ ხართ პლანეტა!
ცივი სიშორით
ხელ-ფეხ შეკრული,
ეს ცა და მიწა გაპავშირებთ
თქვენ ერთმანეთთან.

1960

¹ მერკურამდე – 160 მილიონი კილომეტრია, პლუტონამდე კი ექვსი მილიარდი.



დრო და სიმრცე

გადავივიწყე მარადისობა,
არყოფნა ცივი და
უსახური!
მილიონებო და ათასებო! –
ჩემთვის,
ვითარცა სიტყვის მსახურის,
დრო და სივრცე –
აღარ არსებობს.

2019



შენს დამეებს ძილგატეხილს,
მზე ჰკიდია,
ვით ცის ჭაღი,
და ძარღვები დაიბერე!
მერე ჩემო,
სოფლის ბოლოს,
ვით ყივჩაღი,
დახვდი სიკვდილს და
სიბერეს.

2018



სიყვარული

სხვა არაფერი...

სიყვარული ხელისგულზე

სამყაროს დატევს,

მაგრამ დღეები უსამანო

ვნებებს ნასვავენ...

და როგორც ბრძანებს

ღმერთკაცი დანტე:

სიყვარულია რომ „აბრუნებს

მზე და ვარსკვლავებს“

1964



ცის მეუფეს უკარებას,
სითბოთი და
სიხალისით,
გსურს შეუღო მზეს კარები,
მიტევებით და
წყალობით,
თვით მააცხოვარს ედარები.

2018



దివ్యా

ქამთა ორომტრიალში
დგოის და
ჭეშმარიტების,
ვერ ვპოვე მისამართი!!!
თუმცა მის ძიებაში,
ბევრი ვცვითე ფართალი.
და... მე,
მცოდნემ სამარლთის,
ვერ ვპოვე სამართალი.

1967



სადაც მტკვარს ერთვის არაგვი,
ვიდაც წარმართოთა ღმერთზე
ლოცულობს...
არ ჩანს არმაზი,
და არც ზადენი.
შენი „კოლხური ფსალმუნები“
ჩუმად ხმაურობს
და უხმობს ქრისტეს და...
ემზადება,
ათასწლეულთა სივრცეებში
სამოგზაუროდ.

2018



საგენისრო

დედის სული კი შვილში გადადის,
მაცხოვარივით –
მუდამ მართალი
დედა აბარებს უკუნს დედობას.
სად არის ღმერთი
და სამაათალი.
გაგონილა კი ამისთანა
უქვედგედობა!!

1979



საფარგები და ტარკვინიუსი

ნიადაგ მამა ღმერთზე მლოცველი,
გადაქცეული უფლის იობად,
კაცი კაცია თავისივე
პლიუს-მინუსით,
მაგრამ წყეული, ვითა იუდა,
ლაქად შერჩება –
კაცობრიობას:
საფარბეგი¹ და ტარკვინიუსი.²

1993

¹ საფარბეგი – აკაკის პოემის „გამზრდელის“ პერსონაჟი, რომელმაც ძიძიშვილს ცოლი – ნაზიბროლა გაუბახა.

² ტარკვინიუსი – რომაელთა მეფე, შექსპირის პოემის, „ლუკრეციას“ მთავარი გმირი, რომელმაც თავის სარდალ – კოლატინიუს ცოლი – ლუკრეცია მოტყუებით გაუპატივდა; შეურაცხყოფილმა ქალბატონმა თავი მახვილით განიგმირა.

მინერვა

„ეს მევარ დანტე, ვარსკვლავებიც,
ძიწაც და ძაღლიც...“

ჯოგანი ბოკაჩო

წყვდიადით მოსილ დამით ტაძარში,
როცა გაპროება ელგა
მზის ნერვად,
სამყარო უნდა შენსკენ მოქაჩო!
მერე სონეტი უძღვნა
მინერვას¹,
გითარცა შექსპირს,
ჯოვან ბოკაჩომ

1968

¹ მინერვა (ლათ.) – სიბრძნის ღმერთქალი.

ოპერაები და ზღვები

შენ კი ფიქრობ,
მაგრამ ასე,
არ ფიქრობენ ალბათ სხვები,
ასწლეულები რომ ვერ აშრობენ –
ოკეანები და
ზღვები –
დედის ცრემლისგან
არის ნაშობი.

1958



სენატიში

აბობოქრებს ენგურს ლელვა,
შვენის ზვირთოა მას
ლალალი,
ლეგენდებში კვლავ ივლება....
და გამკრთალი ცაში ელვა,
მოჰვავს ლმერთკაც ამირანზე
მშობიარე ლმერთქალ დალის,
უშბას მოებში შეკივლებას.

1952



ყოვნის ზიქოსოფია

ყოვნის ხის მაღალ ტოტებზე
ვსხედვართ,
და როს არყოფნის ქარი აგვიშევს,
რად არის ასე,
მე ეს მაშინებს –

– დედა,

როდესაც ხელებს
გაგვიშვებს,
სიკვდილი რომ ჩაგვეიდებს
მაშინვე.

2019



0183 შროშასთან

ადრე ათი მილიონი,
ახლა აღარ მებევრებით!
აწი უნდა ვხდიო გენებს,

და...

შროშასთან ეს ქვევრები,
მაგონებები –
დიოგენეს.

1960



ლილე

ჩემს შვილოშვილს –
ლილე.

ქვეყნის გაჩენის დღიდან,
მზე კვლავ ამოყავს დილებს!
ჩემო სამშობლოს მოებო, –
ოქენ გამიზარდეთ ლილე¹,
ვით „ენლილ²,“
„რა“³ და
„ფებოს!“⁴

¹ ლილე – მზე ან მზის დვთაება სვანურ მითოლოგიაში.

² ენლილე – მზის დვთაება შუმურში.

³ რა – მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოსში.

⁴ ფებოსი – მზის დვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.



ՊՅՈՒՅՏ ԹՐԱՎՐԱՆՑԻ

մոլորակնեղագ քամյրտալո յլզա,
 օրդան քաջմոցյենս
 զյրյած ամարիօն,
 զոտարցա և պարսյուլ –
 մշյալ քոծյելյենյած,
 դա յս մոշարյ դա թագո լրյածլյածո,
 ռագ մաշոնյեց մյ
 ձոնապարթյև
 դա ան կյանծյալյած –
 վմոնքա յլյենյե?!

1954



ხარობს მწყემსის კარავი,
თავის გუდა-ნაბადით,
გულო ჩუმად იმღერე! –
ძროხამ ხბო კვლავ დაბადა,
„ჩხუ ჯან,
გინ გერე!¹“

1956

¹ „ძროხა წევს, ხბო ლგას“ (მეგრ.)



საქართველოს ცა

ჰელიოსის ნათლულმა,
 სხვა რა უნდა ინატროს!
 ვით დგომისშვილი,
 ოლიმპოს,
 მაღალ მთაზე ბინადრობს.
 ხუთი ათასწლეულის,
 გადმოლახა ტრამალი,
 და დავით მეფისალმუნის
 მოყვა მცირე ამალა!
 მერე „კოლხურ ფსალმუნთა“
 შექმნა დიდი არმია,
 მთები შეაზანზარა,
 ზღვები გადარია...
 მიწა იძრა ეგონათ,
 როცა იგი წაიქცა!
 თურმე...
 უცებ ამაღლდა –
 საქართველოს ცად იქცა.

2019

მიქელაჯელო,
კეთრარპა,
ჩიკამაცჟ

გოლგოთის უგალი გზებით
ვიდოდნენ,
არ დალატობდნენ რწმენას
აროდეს!

მიტომ დღეებმა (ვითარცა შენ),
ელვის ჯვარს აცვეს:
მიქელანჯელო ბუონაროტი,
ფრანჩესკ პეტრარკა
და ჩიკამაცჟ.

2000



፩፻፭፻፯፻

ბედმა არიგ-დარია
გზა სწორი და
ირიბი,
რომელიც მე განვლიგ!
პატარები არიან
და ვერ დამიტირებენ
ჩემი ნატა და ლილქ.

2019



სხვათაშორის

ძვირფასო ალბათ,
ესეც ბედია,
/რომ აღარ იყოს ეს
ტრაგედია!
თებროს აბრამი ბორო¹
და ლოგო²,
შევვარებია თურმე ჩიჩუას
ზესნახე³ გოგოს!

1958

¹ ბორო (მეგრ.) – სულელი.

² ლოგო (მეგრ.) – ბრიყვი

³ ზესნახე (მეგრ.) – მზეთუნახავი



ცის ლურჯ მინდორზე
დამით ნათესი,
ჩუმი შრაილი ისმის
თავთავის.

სადღაც იდება ცისკრის კარიბჭე,
აწ არა გიშავს!

მორჩა!

გათავდა!

შენ,

შენ საფლავზე გადააბიჯე.

2019



ნაზიპროლა და ლუპრეცია

წუთისოფელი გაუდაბურდა,
მიწა ცად იქცა და
აყირავდა,
ადამის მოღგმა მგლად იქცა და
მხეცხე მხეცია!!!
დაგიდასტურებთ ამას
პირადად,
ნაზიპროლა და ლუპრეცია.

1993



მწუხრი დამეს ნატრობს,
რეპს ვარსკვლავთა ზარებს –
აფრთხობს სიმარტოვეს.
ცის სულია–მთვარე,
და მიტომ ცას მარტო,
წამით აღარ ტოვებს.

1979



1991-92-93

გერ შენდება საქართველო,
ისევ უკან იხევს
და კვლავ მიდის ნგრევა!!!
ოუ მსხვერპლს ითხოვს,
ვით სურამის ციხე,
ჩემო!
აგერ მე ვარ!

1993



ରାଧଗାନ ମିଆହିନ୍ଦା ତାଙ୍କ
ଭାବିତାରେ ଭାବିଲାଏ,
ଅତାଶର୍ଷିଲ୍ଲାପନା ଦିନେଶ ମିଆପାଦନା,
ଶାମ୍ଯାରଣ ଜୟନ୍ତା ଶୁଣି ମିଳିବା...
ମର୍ମ ପାର୍ବତୀ,
ଜୀବ ପାର୍ବତୀ,
ମିଳିବା ଫର୍ମାଇବା ଫା...
ମିଥିମଥ „କୃତ୍ତବ୍ୟାନିନ୍ଦା“ –
ଶୁଣି ମିଳିବା.

2018



მთხვე

ფეხისწვერებზე დამდგარნი –
თბილისს დასცქერენ
ამაყად,
მაღალი მთები ზედაზნის,
დიდგორისა და
მახათის.
მათ კარგად ახსოვთ რამდენი,
ომი აქვთ გადახდილი და...
აშ კიდევ...
გადასახადი!!!

1969



ହେଠି କିମ୍ବା ଲାଜୁଗାରିଧିଦାନ,
ଦାରନ୍ତିରିନ୍ଦ୍ରି ଫଳରୀଦି
ହୃଦୟାଦ ପ୍ରୋତ୍ସାହିତିକାର...
(ମଧ୍ୟାମ୍ବି ନିର୍ମାଣ ମତିରେଣ୍ଟାକା!)
ଦେଖିବାରି ପିଲାରି, –
ହେଠି ପାଶକୁ * ତଥା ଶେଷିଲେଖି –
ପାଶକ ପରିବର୍ତ୍ତନକାର!

2019

* ପାଶକ – ଶ୍ଵାରିଲୋଶ୍ଵାରି



მზის ჩასვლა

მნათთა საფეხურებით

ამოდის და...

მწუხრისას,

დღის სახლიდან მზე გადის,


სიყვარულით გულსავსე,

მხნე და...

ფერი ენგადის¹.

1960

¹ ენგადი – „ოვალი წყაროთა“. /საბა/.



სინაზღვი

ასე ყოფილა წესი ბუნების –
მოგა პოეტი და....
მიწაზე ვეღარ ეტევა!!!
რა ვქნა არ ვიცი,
რა ვიღონო!
ეს „ფსალმუნები“,
დასასტამბავად არ მემეტება!!!

1993



მეღვას ლანდი

მედეა გაიპარა თუ გაიქცა,
/აქ ცბიერი სიყვარულის
ბრალი დევსე!/

იგი დარდისაგან ლანდად იქცა!!!
კოლხეთს დაბრუნდა და...
სირცხვილისაგან,
თავს გვარიდებს!!!

1957



ସାମନ୍ତର୍କ୍ଷେତ୍ରରେ ଗପିବାରେ ଦିନାଶ,
ଶେନୀ ଆଖିବିନା ବେଲୋଟ,
ତୁମ୍ଭି ତଥାଲ୍ଲେବୁ ଫାମିଲ୍ୟକାଳ,
ଧେର୍ଯ୍ୟ...

ଗୁଣ୍ଡରେ ତୁ ଫାମାଯରି –
ଜାରତୁଳ ମିଠାଶ,
ବୁଲ୍ଲ ଜରତ ମୁକାଶ.

2019



ღრუბლის შავ ბალდახინზე

მკვდარი მთვარის –

ძევს კუბო,

ვითა ცრემლი ჰეგუბას¹.

ცივი,

როგორც წყურგილე,

რაც ხახამშრალ ქარიშხალს,

მხურგალ სხეულს

უგრილებს.

1956

¹ ჰეგუბა – მრავალტანჯული ტროელი დედოფალი



შემოზღვა სამებრელოზი

იები და ენძელები გაპარულან,
სიმარტოვეს წუხს ძილა და
მატიტელა.
ახლა შემოდგომაა და ცივა.
ხეებს რცვენიათ
გატიტვლების
და დარდისფერი ფოთლები –
ცრემლებად ცვივათ.

1962



ობლის პვერი

წარსულის ხმელ ტოტზე მჯდარი,
მომავლის ნედლ რტოზე მღერი,
სირცხვილი,
ვით ბატონები,
წითლად აყრის ტანზე მოცხარს,
რადგან შენი –
ბედის კვერი,
კერ იქნა და...
კერ გამოცხვა!

1999



მზის ცხელ ქურაში გამომწვარი
 მნათთა კრამიტით,
 კვლავ იხურება დამის ტაძარი,
 ჩუმად იღება –
 მთვარის სარკმელი.
 და წნდება ზე-ცა ელფის ძაფით
 გასანასკვავი.
 მიხარია, რომ მწუხერის ვარსკვლავებს –
 ასდის სურნელი სანთელ-
 საკმევლის.

1960



ქართველებო, ოო, კარ!

ოო, კარ!

გაიბზარა,

ძველებურად,

ვით მოჰკონდა აწი ასე,

